ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3998239

ნომერი: AR1603310

თარიღი : 24.05.2018

გაცემის თარიღი : 06.06.2018

გაცნობის თარიღი : 07.06.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სერგი წულაძის ქუჩა N32 დ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რობიზონ გეთიაშვილი პ/ნ 01014005996
- თბილისი, ლ.ანდრონიკაშვილის ქ. N23

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 3 აგვისტოს №3445602 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 24 მაისს #AR1603310 განცხადებით მომართა მოქალაქე რობიზონ გეთიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 3 აგვისტოს №3445602 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, საპროექტო ობიექტთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 2017 წლის 3 აგვისტოს №3445602 ბრძანებით, ქალაქ

თბილისში, , ქუჩა წულაძე , N 22ში , (ს/კ: #01.17.11.034.051, ფართობი: 3615 კვ.მ.) დამხმარე - ტექნიკური ნაგებობის (სამზარეულო) აშენების მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 3 აგვისტოს №3445602 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და დამხმარე - ტექნიკური ნაგებობაზე (სამზარეულო), ცალკე მდგომი საბავშვო ბაღის დამატება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურს, მიზანშეწონილად მიაჩნია, შეიტანოს ცვლილება 2017 წლის 3 აგვისტოს №3445602 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში საპროექტო ობიექტთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 3 აგვისტოს №3445602 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში. კერძოდ, II. ძირითადი მოთხოვნები მიწის ნაკვეთის ან/და შენობა-ნაგებობის სამშენებლო განვითარების მიმართ – 1. სამშენებლო განვითარების მიზანის პუნქტში დაფიქსირდეს:

- საპროექტო ობიექტი: დამხმარე - ტექნიკური ნაგებობის (სამზარეულო) და საბავშვო ბაღი;

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 3 აგვისტოს №3445602 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.